

**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის**  
**ეთიკის კომისიის**  
**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**  
**დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე**

**მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

მამუკა ნოზაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი - ს. გ.**

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 10.02.2023**

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №014/23**

**საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. გ.-ს /სიითი №/ მიმართ**

**საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. გ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება**

**I აღწერილობითი ნაწილი**

**1. საჩივრის ავტორის პოზიცია:**

- 1.1 2021 წლის 10 თებერვალს, ადვოკატ თ. გ.-ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ს. გ.-მ.
- 1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის წარმოადგენს მეუღლის - ი. გ.-ს მხრიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლს. 2022 წლის მარტის თვეში საჩივრის ავტორმა ოჯახური ძალადობის საქმესთან დაკავშირებით მიმართა ადვოკატ ი. ჭ.-ს, რომელიც დეტალურ კონსულტაციას უწევდა საჩივრის ავტორს, თუმცა 2022 წლის მაისის თვეში ადვოკატმა ი. ჭ.-მ განუცხადა, რომ ვეღარ შეძლებდა მისი ინტერესების დაცვას და შესთავაზა საქმისწარმოებაში ჩაერთო ადვოკატი თ. გ.. ადვოკატი ი. ჭ. დაპირდა ს. გ.-ს, რომ თავად მოელაპარაკებოდა ადვოკატ თ. გ.-ს, ამასთან, მიაწოდა ინფორმაცია, რომ მართალია ადვოკატი იყო ი. გ.-ს მოგვარე, თუმცა ისინი ნათესავენ არ წარმოადგენდნენ.

- 1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას ადვოკატმა ი. ჭ.-მ მიაწოდა თ. გ.-ს მობილურის ნომერი, რის შემდეგაც მომჩივანი მამის - ზ. გ.-ის მობილური ტელეფონით დაუკავშირდა ადვოკატ თ. გ.-ს; მიაწოდა მას დეტალური ინფორმაცია საქმის გარემოებებზე და განუცხადა, რომ სურდა ყოფილი მეუღლის წინააღმდეგ მიემართა სამართალდამცავი ორგანოსათვის შემაკავებელი ორდერის გამოცემის მოთხოვნით, რის შემდეგაც ადვოკატისაგან მიიღო სამართლებრივი კონსულტაცია, კერძოდ, ადვოკატმა თ. გ.-მ განუმარტა, რომ ს. გ.-ის განცხადების შემდეგ დიდი ალბათობით დააკავებდნენ ი. გ.-ს და გააფრთხილა, რომ სამართალდამცავ ორგანოში ერთად მისულიყვნენ.
- 1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო, თ. გ.-მ უარი განუცხადა სამართალდამცავ ორგანოში დღის საათებში მისვლასა და განცხადების დაწერაზე და შესთავაზა განცხადების დასაწერად ღამის საათებში მისულიყვნენ, რაც მომჩივანისათვის მიუღებელ პირობას წარმოადგენდა, ვინაიდან მას ჰყავს მცირეწლოვანი შვილი. საჩივრის ავტორის განმარტებით, თავს გრძნობდა დაუცველად და განცხადების სწრაფად წარდგენის მიზნით, გადაწყვიტა ახალი ადვოკატისათვის მიემართა.
- 1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2022 წლის 10 დეკემბერს ადვოკატმა თ. გ.-მ მისი მეუღლის სახელზე გამოწერა დაცვის ორდერი, წარადგინა ის საგამომიებო ორგანოში და დაესწრო წინასასამართლო სხდომას, როგორც ი. გ.-ს ადვოკატი. ადვოკატმა თ. გ.-მ, 12 იანვარს, სასამართლოს წინაშე დაადასტურა, რომ ის ესაუბრა ს. გ.-ს და რომ ის არის ი. გ.-ს ნათესავი და ნდობით აღჭურვილი პირი.

## 2. ადვოკატის პოზიცია:

- 2.1 ადვოკატმა თ. გ.-მ 2022 წლის 20 თებერვალს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც განმარტა, რომ საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.
- 2.2 ადვოკატმა დაადასტურა, რომ იცავს ი. გ.-ს ინტერესებს პირველი ინსტანციის სასამართლოში, იმ სისხლის სამართლის საქმეში, სადაც დაზარალებულს წარმოადგენს ს. გ.. ადვოკატის განცხადებით, აღნიშნულ საქმეზე პროკურორმა დააყენა მისი აცილების შუამდგომლობა, რაზეც გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.
- 2.3 ადვოკატმა დაადასტურა, რომ მან ნამდვილად დარეკა ზ. გ.-ს მობილურის ნომერზე 2022 წლის პირველ მაისსა და ორ მაისს. პირველ მაისს ის ესაუბრა ს. გ.-ს და მხარეთა შორის საუბრის ხანგრძლივობა შეადგენდა 124 წამს, რა დროსაც, შეუძლებელი იყო ს. გ.-ის საქმეზე დეტალური ინფორმაციის მოსმენა და ამის შემდეგ მომჩივანისათვის დეტალური სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა. ადვოკატმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ზ. გ.-ს მობილურის ნომერზე მას შემდეგ დარეკა, რაც ნახა აღნიშნული ნომრიდან შემავალი, გამოტოვებული ზარი. ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული საუბრის დროს ს. გ.-მ სთხოვა მას სამოქალაქო საქმეზე დახმარება და მიაწოდა ინფორმაცია, რომ ყოფილ მეუღლესთან ჰქონდა სამოქალაქო დავა ბავშვის ნახვის საათების განსაზღვრასა და ალიმენტის თაობაზე. ადვოკატის განმარტებით, ს. გ.-ს სატელეფონო საუბრისას აცნობა, რომ მას არ ჰქონდა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაცია, რის გამოც ვერ გაუწევდა სამართლებრივ კონსულტაციას.

- 2.4 ადვოკატის განმარტებით, სატელეფონო საუბრსას, ს. გ.-ს ინფორმაცია არ მიუწოდებია მისთვის, რომ ის იყო ი. გ.-ს ყოფილი მეუღლე და ამ ფაქტის შესახებ მას შემდეგ გახდა თ. გ.-სათვის ცნობილი, რაც ის ჩაერთო ი. გ.-ს სისხლის სამართლის საქმისწარმოების პროცესში.
- 2.5 ადვოკატის განცხადებით, მას ი. ჭ.-სათვის არ მიუწოდებია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის და ი. გ. ნათესავები არ იყვნენ და მეტიც, აღნიშნულ საკითხზე მათ საერთოდ არ უსაუბრიათ. შესაბამისად, ი. ჭ. ვერ დაადგენდა იყვნენ თუ არა ი. გ. და თ. გ. ნათესავები.

## **II სამოტივაციო ნაწილი**

### **3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება**

- 4.1. ადვოკატი თ. გ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.
- 4.2. ს. გ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2023 წლის 10 თებერვალს.
- 4.3. სადავო ქმედება განხორციელდა 2022 წელს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

### **4. შემაჯამებელი დასკვნა**

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. გ.-ს მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

### **5. სამართლებრივი შეფასება**

- 5.1 2023 წლის 27 თებერვალს საჩივრის ავტორმა ს. გ.-მ ელექტრონული ფოსტის საშუალებით აცნობა ეთიკის კომისიას, რომ დისციპლინურ საქმეზე 014/23 აღარ სურს დისციპლინური წარმოების გაგრძელება და მოითხოვა საქმის შეწყვეტა.
- 5.2 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად: „დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე)“. შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორმა უარი თქვა საჩივარზე, ადვოკატ თ. გ.-ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.
- 5.3 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5, მე-6 ნაწილებით, მე-19–მე-20 მუხლებით, 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით; 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი ნაწილით და გადაწყვიტა:

### III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N014/23 შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება ადვოკატ თ. გ.-ს /სიითი N/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე:

/მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი:

/ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი:

/ბესარიონ ბოხაშვილი/